

„დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“
შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“-ს
დირექტორატის მიერ 2015 წლის 01 სექტემბრის № ზ-7 ბრძანებით

-----/ლალი გარდაფხაძე/

-----/ნინო ქადაგიძე/

შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“

ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები

შესავალი

სკოლის ხედვისა და მისიის წარმატებით შესრულებაში მასწავლებელს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მასწავლებლის ყოველი სასკოლო აქტივობა სკოლას უფრო წარმატებულსა და კონკურენტუნარიანს ხდის. ამიტომ აუცილებელია თითოეულ სკოლას გააჩნდეს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები. სკოლის დირექციის მიერ მასწავლებლის შეფასება არის წინაპირობა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული დონის ამაღლებისა და სერტიფიცირებისთვის. ის ასევე, ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის წარმატებით შესრულებას, რომლის ერთ-ერთი მიზანია სკოლებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. დირექციის მიერ მასწავლებლის შეფასება გარდა სახელმწიფოსა და დირექციისა სასარგებლოა: როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის და მათი მშობლებისათვის.

პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვისათვის სკოლის დირექციის მიერ მასწავლებლის შეფასება ხდება ხუთი კომპონენტით:

1. გაკვეთილის შეფასება;
2. სასწავლო პროგრამის (სილაბუსის) შეფასება;
3. მასწავლებლის მიერ სსსმ მოსწავლის შეფასება;
4. სხვადასხვა დონისძიებებში მონაწილეობის შეფასება;
5. მასწავლებლის პროფესიული განვითარების შეფასება.
6. შემაჯამებლების და მისი ანალიზის შეფასება

ყველა კომპონენტის შეფასება ხდება შემდეგი პრინციპით: 4 ქულა – რეგულარულად, 3 ქულა – ხშირად, 2 ქულა – იშვიათად, 1 ქულა – არასდროს. თითოეულ კომპონენტს ახლავს სკოლის დირექციისა და მასწავლებლის კომენტარი მათი ხელმოწერებით. სკოლის დირექციას საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ყველა კომპონენტს დაუმაგოს ერთი ან ორი კრიტერიუმი.

1. **გაკვეთილის შეფასება.** დირექციის მიერ მასწავლებლის სამოდელო გაკვეთილის შეფასება ხდება სხვადასხვა კლასებში (თუ მასწავლებელი ასწავლის ორ და მეტ კლასს) წელიწადში ორჯერ, სემესტრში ერთხელ. დირექცია თითოეულ გაკვეთილს ანიჭებს ნომერს. მასწავლებელმა წინასწარ იცის თუ რა კრიტერიუმებით მოხდება მისი გაკვეთილის შეფასება. ის დირექციას დადგენილ ვადებში აწვდის დაგეგმილ გაკვეთილებს, რომელსაც განიხილავს დირექცია. დირექციას შეუძლია სასკოლო გეგმიდან და მასწავლებლის შესაძლებლობიდან გამომდინარე დაამაგოს ერთი ან ორი გაკვეთილი.

2. **სასწავლო პროგრამის (სილაბუსის) შეფასება** სასწავლო პროგრამის (სილაბუსის) შესრულების შეფასება ხდება ორჯერ – I სემესტრის დაწყებისას და სასწავლო წლის ბოლოს. I სემესტრის ბოლოს. სასწავლო პროგრამის (სილაბუსის) შეფასების შემდეგ მასწავლებელი გაეცნობა დირექციის შეფასებასა და კომენტარს და საჭიროების შემთხვევაში მოახდენს სასწავლო პროგრამის (სილაბუსის) გადახედვას, კორექტირებასა და გაუმჯობესებას.

3. მასწავლებლის მიერ სსსმ მოსწავლის შეფასება

მოდულირებული (ინდივიდუალური) სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც განკუთვნილია სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის (სსსმ). ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სსსმ მოსწავლეს, რომელსაც აქვს:

- ა) ფიზიკური დარღვევა;
- ბ) ინტელექტუალური დარღვევა;
- გ) სენსორული დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
- დ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- ე) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

ვ) სირთულეებით სოციალური ფაქტორების გამო და ამ მიზეზით ვერ სძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში. დირექცია მასწავლებლის მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმას აფასებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი მოსწავლე ყავს მას ნებისმიერ კლასში. სკოლის დირექციის მიერ მასწავლებლის მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შესრულების შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის ბოლოს.

4. სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის შეფასება

ღონისძიებები იყოფა ორ ნაწილად: შიდა სასკოლო და სკოლის გარეთ განხორციელებული ღონისძიებები. დირექციის მიერ სასკოლო ღონისძიებების შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ, I სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს.

5. მასწავლებლის პროფესიული განვითარების შეფასება

მასწავლებლის პროფესიული განვითარების შეფასება ხდება სასწავლო წლის ბოლოს. დირექციის მიერ მთელი წლის განმავლობაში მასწავლებლის პროფესიული განვითარების შეფასება ხდება, როგორც სკოლის ბაზაზე, ისე მის გარეთ განხორციელებული აქტივობების მიხედვით.

თუ შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ მასწავლებელს პროფესიული განვითარებისათვის სჭირდება დახმარება, საგნობრივ კათედრას დაევალება კოორდინირება გაუწიოს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას. ასევე, შესაძლებელია დამატებით გრენინგებზე გაიგზავნოს კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა გულისხმობს:

- პროფესიულ დიალოგებს გამოცდილების გაზიარების მიზნით კათედრის სხდომებზე;
- გრენინგებს;
- სემინარებს;
- სპეციალისტებთან შეხვედრებს;

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიული მომთხოვნელობის ამაღლების, სწავლებისა და აღზრდის ხარისხის უწყვეტ კონტროლს სკოლის ადმინისტრაციისა და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელთა მხრიდან.

უმთავრეს მოთხოვნად უნდა იქცეს მაღალი კვალიფიკაციისა და პირადი პასუხისმგებლობის მქონე პედაგოგებით სკოლის დაკომპლექტება, ასევე გუნდური მუშაობის პრონციპებისა და მეთოდოლოგიის დანერგვა.

6.შემაჯამებლების და მისი ანალიზის შეფასება

შემაჯამებლების შესრულების შეფასება ხდება სამჯერ – I სემესტრის დაწყებისას, I სემესტრის ბოლოს, და სასწავლო წლის ბოლოს. I სემესტრის დაწყებისას ფასდება მხოლოდ 5 კომპონენტი. ხოლო დანარჩენ შემთხვევებში სრულად. შეფასების შემდეგ მასწავლებელი გაეცნობა ღირებულების შეფასებასა და კომენტარს და საჭიროების შემთხვევაში მოახდენს შემაჯამებელი სამუშაოს გადახედვას, კორექტირებასა და გაუმჯობესებას.

კათედრა _____

საგანი _____ კლასი _____

პედაგოგი _____

თარიღი — — 20 — წ.

გაკვეთილის შეფასება № _____

კრიტერიუმები	4	3	2	1
უმრუნველყოფს დისციპლინას საგაკვეთილო პროცესში				
თითოეული აქტივობა ემსახურება გაკვეთილის მიზნის მიღწევას				
აკავშირებს გაკვეთილს პრაქტიკასთან და მიზანმიმართულად იყენებს სხვადასხვა დამხმარე მასალას				
ეფექტურად არჩევს და იყენებს სწავლების მეთოდებს				
წარმართავს საგაკვეთილო პროცესს შემოქმედებითად და ქმნის ხელსაყრელ გარემოს				
პატივს სცემს მოსწავლის აზრს და მის დაშვებულ შეცდომებს იყენებს უკეთესი შედეგის მისაღწევად				
ეფექტურად იყენებს თვალსაჩინოებებს და რესურსებს				
სწორად არის შერჩეული შეფასების ფორმა				
საუბრობს სალიგერაგურო ენით და იყენებს სამეცნიერო ტერმინოლოგიას				
გაკვეთილის ბოლოს აკეთებს შეფასებას (ჩანაწერი, კომენტარი და სხვა)				

შეუძლია გაკვეთილის დროში განაწილება				
საგაკვეთილო პროცესში მიღწეული შედეგი				
ქულა				
ქულათა ჯამი				

ღირექცის კომენტარი:

მასწავლებლის კომენტარი:

ღირექცის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

კათედრა _____

საგანი _____ კლასი _____

პედაგოგი _____

თარიღი ____ -- ____ 20 -- წ.

სასწავლო პროგრამის (სილაბუსის) შეფასება

კრიტერიუმები	4	3	2	1
სასწავლო პროგრამის (სილაბუსი) შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას				
სასწავლო პროგრამის (სილაბუსი) ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს				
საგნის ამოცანა გამომდინარეობს საგნის მიზნებიდან და მკაფიოდ აღწერს მოსწავლის განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს				
სწავლების მეთოდები მიესადაგება საგნის სტანდარტს				
დამატებითი ლიტერატურა ეხმარება სასწავლო პროგრამის (სილაბუსის) მიზნების მიღწევას				
სასწავლო რესურსები ეხმარება სასწავლო პროგრამის (სილაბუსის) მიზნების მიღწევას				
შეფასების კომპონენტები გამოდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან				
შემაჯამებელი დავალებები სრულდება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით				

თემატური გეგმები სემესტრულად არის გაწერილი				
საგნობრივი პროგრამა გაწერილია საათების მიხედვით				
სასწავლო პროგრამის (სილაბუსი) შესრულება დადგენილ ვადებში				
ქულა				
ქულათა ჯამი				

ღირექციის კომენტარი:

მასწავლებლის კომენტარი:

ღირექციის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

კათედრა _____

საგანი _____ კლასი _____

პედაგოგი _____

თარიღი — — 20 — წ.

მასწავლებლის მიერ სსსმ მოსწავლის შეფასება

კრიტერიუმები	4	3	2	1
აკეთებს მოსწავლის საჭიროებების პედაგოგიურ შეფასებას				
მოდულიზირებული სასწავლო გეგმის შედგენისას ითვალისწინებს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს				
ადექვატურად განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო მიზანს/მიზნებს მოსწავლის შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე				
ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასახული მიზნის/მიზნების შესაბამის საკლასო და საშინაო აქტივობებს				
მონაწილეობას ღებულობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე გუნდის სამუშაო შეხვედრებში				
ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეუძლია განსაზღვროს აქტივობები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის საკლასო აქტივობებში ჩართულობას				
მოსწავლის შინ სწავლების პროცესში იყენებს ინტერნეტს, ვიდეოკონფერენციებს და დამატებით საინფორმაციო საშუალებებს				

მონაწილეობას ღებულობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგში				
ქულა				
ქულათა ჯამი				

ღირექცის კომენტარი:

მასწავლებლის კომენტარი:

ღირექცის წარმომადგენლის ხელმოწერა: -----

მასწავლებლის ხელმოწერა: -----

თარიღი: -----

კათედრა -----

საგანი ----- კლასი -----

პედაგოგი -----

თარიღი --- --- 20 -- წ.

შიდა სასკოლო ღონისძიებების შეფასება

კრიტერიუმები	4	3	2	1
აგარებს სხვადასხვა სახის შიდა სასკოლო კონკურსებს				
აკეთებს მოსწავლეებთან ერთად სასწავლო - შემოქმედებით პროექტებს				
მონაწილეობს სკოლის მიერ ჩატარებულ სასკოლო ღონისძიებებში				
გეგმავს კონკურსებს კოლეგებთან ერთად				
ანხორციელებს კონკურსებს კოლეგებთან ერთად				
ქულა				
ქულათა ჯამი				

სკოლის გარეთ ღონისძიებების შეფასება

კრიტერიუმები	4	3	2	1
ამზადებს მოსწავლეებს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადისათვის				
მონაწილეობს სკოლის მიერ ჩატარებულ სკოლის გარეთ ღონისძიებებში				
ამზადებს მოსწავლეებს სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში				
მონაწილეობის მისაღებად				

აკეთებს მოსწავლეებთან ერთად სასწავლო პროექტებს				
მოიპოვებს მოსწავლეებთან ერთად ეროვნულ ან საერთაშორისო გრანტს				
ქულა				
ქულათა ჯამი				

ღირექცის კომენტარი:

მასწავლებლის კომენტარი:

ღირექცის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

კათედრა _____

საგანი _____ კლასი _____

პედაგოგი _____

თარიღი — — 20 — წ.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების წლიური შეფასება

კრიტერიუმები	4	3	2	1
დადის პროფესიული განვითარების ტრენინგებზე				
ესწრება კათედრის სხდომებს				
მონაწილეობს ეროვნულ ან საერთაშორისო კონფერენციაზე და/ან სემინარზე				
ეცნობა ახალ პროფესიულ ლიგერაგურას და უზიარებს კოლეგებს კათედრის სხდომაზე				
ქულა				
ქულათა ჯამი				

ღირექცის კომენტარი:

მასწავლებლის კომენტარი:

ღირექვის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

კათედრა _____

საგანი _____ კლასი _____

პედაგოგი _____

თარიღი — — 20 — წ.

შემაჯამებლის შეფასების სქემა

	კრიტერიუმები	1	2	3	4
1	იცავს შემაჯამებელთა რაოდენობას სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით.				
2	შემაჯამებელი დავალების თითოეულ ტიპს ახლავს შეფასების რუბრიკა.				
3	რუბრიკა დაზუსტებულია კონკრეტული დავალების, პირობის და განვლილი მასალის გათვალისწინებით.				
4	10 ქულა გადანაწილებულია რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.				
5	მითითებულია სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.				

6	შემაჯამებელს თან ერთვის ანალიზი.				
7	შემაჯამებელს თან ერთვის პრობლემის გადასაჭრელად მასწავლებლის მიერ მიცემული რეკომენდაცია.				
8	იცავს ე.ს.გ. მოთხოვნებს, შემაჯამებლის ტიპებთან მიმართებაში				
	ქულა				
	ქულათა ჯამი				

ღირექციის კომენტარი:

მასწავლებლის კომენტარი:

ღირექციის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

სწავლა/სწავლების პროცესის

მონიტორინგი

მიზანი:

- სხვადასხვა საგნობრივი კათედრების (ჰუმანიტარული, ტექნიკური, უცხოური ენები) მუშაობის ღიაგნოსტიკა;
- სწავლება/სწავლის პროცესზე დაკვირვება, ანალიზი, განზოგადება;
- ინფორმაციის მოპოვება ცალკეული საგნის მასწავლებელთა პროფესიული პრაქტიკის ღირსება-ნაკლოვანებების შესახებ.

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთება:

- საგნის ცოდნა
 - საგნობრივი სტანდარტის ცოდნა
 - სასწავლო პროცესის დაგეგმვის უნარი
 - მოსწავლეთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების ცოდნა
 - მოსწავლეთა შესაძლებლობების განსაზღვრის უნარი.
- პედაგოგიური პრაქტიკის ღირსება-ნაკლოვანებების განმსაზღვრელი კრიტერიუმები:**

- მასწავლებლის საუბარი სჭარბობს მოსწავლის საუბარს სწავლების პროცესში, თუ მოსწავლის საუბარი სჭარბობს, ან მასწავლებლის საუბრის თანაბარ დროს იკავებს?
- იწვევს თუ არა გაკვეთილი მოსწავლეთა მოტივაციას?
- რამდენ ხანს არიან მოსწავლეები მოტივირებულნი?

- რა არის მოსწავლეთათვის ყველაზე უინტერესო?
- უსმენს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეებს გულისყურით?
- დასმულ შეკითხვებზე ნაწილობრივ თავად მასწავლებელი ხომ არ პასუხობს?
- არის თუ არა მოსწავლეთათვის მიცემული ინსტრუქცია ნათელი, თუ მასწავლებელს უწევს ცალკეული მოსწავლეების ან ჯგუფისთვის დავალების გამეორება?
- ხომ არ არის რთული მიცემული დავალების ორგანიზაციული მხარე და ხომ არ იწვევს კლასში არეულობას?
- რამდენი პასიური მოსწავლეა ჯგუფებში მუშაობის დროს?
- შენიშვნების მიცემის დროს მასწავლებელი საუბრობს მხოლოდ დაშვებულ შეცდომებზე თუ ეხება მოსწავლეს პიროვნულადაც (ხომ არ აკეთებს დამამცირებელ კომენტარებს)?
- ხომ არ იფარგლება მასწავლებელი მხოლოდ ნეგატიური შენიშვნებით?
- იცავენ თუ არა მოსწავლეები საკლასო წესებს?
- იცავენ თუ არა მოსწავლეები დისკუსიის წესებს?
- მიიღო თუ არა გაკვეთილის მიზნის შესაბამისი შედეგი მასწავლებელმა?
- მიღწეულ იქნა თუ არა გაკვეთილის მიზანი?
- ეფექტიანია თუ არა მასწავლებლის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო რესურსი?
- რამდენად უწყობს ხელს საგანმანათლებლო რესურსი მოსწავლეთა ჩართულობას?

მოსალოდნელი შედეგები – მონიტორინგის პროცესში გაირკვევა:

- რამდენად ეფექტურად აძლევს კონკრეტული საგნის მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას?
- რა სახის დახმარება შეიძლება გაეწიოს მასწავლებელს იმისათვის, რომ დაგვემოსწავლება/სწავლა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით?
- როგორ მივაწოდოთ ინფორმაცია მშობლებს მოსწავლეების პროგრესის შესახებ და როგორ წავახალისოთ ისინი, რომ უფრო აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში
- სხვა.

პედაგოგიური პრაქტიკის ღირსება-ნაკლოვანებების განმსაზღვრელი კრიტერიუმები:

№	შეფასების კრიტერიუმები	კომენტარი
1.	მასწავლებლის საუბარი სჭარბობს მოსწავლის საუბარს სწავლების პროცესში, თუ მოსწავლის საუბარი სჭარბობს, ან მასწავლებლის საუბრის თანაბარ დროს იკავებს?	
2.	იწვევს თუ არა გაკვეთილი მოსწავლეთა მოტივაციას?	
3.	რამდენ ხანს არიან მოსწავლეები მოტივირებულნი?	
4.	რა არის მოსწავლეთათვის ყველაზე უინტერესო?	
5.	უსმენს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეებს გულისყურით?	
6.	დასმულ შეკითხვებზე ნაწილობრივ თავად მასწავლებელი ხომ არ პასუხობს?	
7.	შენიშვნების მიცემის დროს მასწავლებელი საუბრობს მხოლოდ დაშვებულ შეცდომებზე თუ ეხება მოსწავლეს პიროვნულადაც (ხომ არ აკეთებს დამამცირებელ კომენტარებს)?	
8.	არის თუ არა მოსწავლეთათვის მიცემული ინსტრუქცია ნათელი, თუ მასწავლებელს უწევს ცალკეული მოსწავლეების ან ჯგუფისთვის დავალების გამეორება?	

